

შპს „ბეთლაივი“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის
დასრულებული პერიოდისათვის (ქართულ ლარში)

შ.პ.ს. "ბეთლაივის" ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

ხემნძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
<i>ფინანსური ანგარიშგება</i>	
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება....	7
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	8
საკუთარ კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება	9
განმარტებითი შენიშვნები	10-27
მმართველობითი ანგარიშგება.....	28

შ.პ.ს. "ბეთლაივის" ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისათვის

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება მომდევნო გვერდებზე არსებული, დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გამორჩეულ იქნას ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა დაწესებულების ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს დაწესებულების ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრისათვის, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგება - ზარალის ანგარიშგებისა, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული პერიოდისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- ✓ მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ✓ განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ✓ ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არ ივარაუდება, რომ დაწესებულება გააგრძელებს საქმიანობას უახლოეს მომავალში.
- ✓ დაწესებულების ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვაზე და შენარჩუნებაზე;
- ✓ ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს დაწესებულების ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას, და ასევე ფინანსური ანგარიშგების (IFRS) მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- ✓ სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ✓ თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება დირექტორის მიერ ხელმოწერილ იქნა

თეიმურაზ კოპალეიშვილი
დირექტორი

ლელა პაპუნაშვილი
ფინანსური დირექტორი

**შ.პ.ს. "ბეთლაივის" ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2019 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული პერიოდისათვის**

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება მომდევნო გვერდებზე არსებული, დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გამორჩეულ იქნას ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა დაწესებულების ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს დაწესებულების ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრისათვის, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგება - ზარალის ანგარიშგებისა, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული პერიოდისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- ✓ მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ✓ განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ✓ ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არ ივარაუდება, რომ დაწესებულება გააგრძელებს საქმიანობას უახლოეს მომავალში.
- ✓ დაწესებულების ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვაზე და შენარჩუნებაზე;
- ✓ ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს დაწესებულების ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას, და ასევე ფინანსური ანგარიშგების (IFRS) მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- ✓ სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ✓ თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება დირექტორის მიერ ხელმოწერილ იქნა

თეიმურაზ კოპალეიშვილი

დირექტორი



ლელა პაპუნაშვილი

ფინანსური დირექტორი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა **შ.პ.ს. "ბეთლაივის" დასკვნა კონსოლიდირებული** **ფინანსური ანგარიშგების შესახებ**

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ "ბეთლაივის" ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს "ბეთლაივის" კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS-ების) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე"- ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შ.პ.ს. "ბეთლაივის", ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს), პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ ჩავატარეთ საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის, სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული პერიოდისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-გამარტებითი შენიშვნების მონახაზს, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენ მიერ ჩატარებულ მიმდინარე პერიოდის აუდიტში. ეს საკითხები განვიხილეთ მხოლოდ ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვთქვამთ.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ

პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყდნობით გამოვთქვით მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს. აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული შეფასებების შესაფერისობის შეფასებასა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარისს და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

აუდიტორი

ნინო კალანდაძე

28.09.2020 წელი

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენ მიერ ჩატარებულ მიმდინარე პერიოდის აუდიტში. ეს საკითხები განვიხილეთ მხოლოდ ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვთქვამთ.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს. აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული შეფასებების შესაფერისობის შეფასებასა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარისს და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

აუდიტორი

ნინო კალანდიაძე



შპს „ბეთლავი“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის დასრულებული პერიოდისათვის (ქართულ ლარში)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019 წელი	31 დეკემბერი 2018 წელი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1,486,467	1,299,126
არამატერიალური აქტივები	5	13,943	13,943
გამოყენების უფლების მქონე აქტივი	6	1,612,585	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		130,000	130,000
სულ გრძელვადიანი აქტივები		<u>3,242,995</u>	<u>1,443,069</u>
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	7	51,821	46,403
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	3,085,037	3,185,811
საგადასახადო აქტივები		696,467	949,300
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	5,014,369	6,410,893
სულ მიმდინარე აქტივები		<u>8,847,694</u>	<u>10,592,408</u>
სულ აქტივები		<u>12,090,689</u>	<u>12,035,477</u>
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10		
გაუნაწილებელი მოგება		5,913,796	(1,737,141)
სულ კაპიტალი		<u>5,913,796</u>	<u>(1,737,141)</u>
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი	11	-	-
საიჯარო ვალდებულება		1,308,231	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		<u>1,308,231</u>	<u>-</u>
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები		24,673	10,264,949
საგადასახადო ვალდებულებები	12	1,406,808	986,065
კლიენტისგან მიღებული ავანსები და წარმოებული ფინანსური ვალდებულებები		1,019,343	698,971
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		2,417,837	1,822,633
სულ მიმდინარე ვალდებულებები		<u>4,868,662</u>	<u>13,772,618</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>12,090,689</u>	<u>12,035,477</u>

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

თეიმურაზ კოპალეიშვილი
დირექტორი

ლელა პაპუნაშვილი
ფინანსური დირექტორი

10 – 27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია .

შპს „ბეთლავი“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის დასრულებული პერიოდისათვის (ქართულ ლარში)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019 წელი	31 დეკემბერი 2018 წელი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1,486,467	1,299,126
არამატერიალური აქტივები	5	13,943	13,943
გამოყენების უფლების მქონე აქტივი	6	1,612,585	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		130,000	130,000
სულ გრძელვადიანი აქტივები		<u>3,242,995</u>	<u>1,443,069</u>
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	7	51,821	46,403
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	3,085,037	3,185,811
საგადასახადო აქტივები		696,467	949,300
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	5,014,369	6,410,893
სულ მიმდინარე აქტივები		<u>8,847,694</u>	<u>10,592,408</u>
სულ აქტივები		<u>12,090,689</u>	<u>12,035,477</u>
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10		
გაუნაწილებელი მოგება		5,913,796	(1,737,141)
სულ კაპიტალი		<u>5,913,796</u>	<u>(1,737,141)</u>
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები	11		
გრძელვადიანი სესხი		-	-
საიჯარო ვალდებულება		1,308,231	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		<u>1,308,231</u>	<u>-</u>
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები		24,673	10,264,949
საგადასახადო ვალდებულებები	12	1,406,808	986,065
კლიენტისგან მიღებული ავანსები და წარმოებული ფინანსური ვალდებულებები		1,019,343	698,971
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		2,417,837	1,822,633
სულ მიმდინარე ვალდებულებები		<u>4,868,662</u>	<u>13,772,618</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>12,090,689</u>	<u>12,035,477</u>

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

თეიმურაზ კოპალეიშვილი
დირექტორი

ლელა პაპუნაშვილი
ფინანსური დირექტორი

10 – 27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.



შპს „ბეთლაივი“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის დასრულებული პერიოდისათვის (ქართულ ლარში)

2019 წლის კონსოლიდირებული მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2019 წელი	2018 წელი
შემოსავალი	13	80,965,782	58,739,023
სხვა შემოსავალი		523,872	231,082
საოპერაციო ხარჯები	14	(42,004,201)	(31,675,574)
თანამშრომელთა სარგებელი		(6,297,583)	(4,932,464)
მოსაკრებლები და სხვა გადასახადები		(18,473,528)	(9,739,496)
ცვეთა და ამორტიზაცია	15	(814,105)	(250,072)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		<u>13,900,238</u>	<u>12,372,498</u>
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ხარჯი		(41,348)	(1,614,343)
საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხ. პროცენტი		(177,931)	-
კურის ცვლილებით გამოწვეული შედეგი		(168,188)	(25,325)
მოგება დაბეგვრამდე		<u>13,512,770</u>	<u>10,732,831</u>
მოგების გადასახადი		(489,670)	-
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		<u>13,023,100</u>	<u>10,732,831</u>

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

თეიმურაზ კოპალეიშვილი
დირექტორი

ლელა პაპუნაშვილი
ფინანსური დირექტორი

10 – 27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია .

შპს „ბეთლაივი“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის დასრულებული პერიოდისათვის (ქართულ ლარში)

2019 წლის კონსოლიდირებული მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2019 წელი	2018 წელი
შემოსავალი	13	80,965,782	58,739,023
სხვა შემოსავალი		523,872	231,082
საოპერაციო ხარჯები	14	(42,004,201)	(31,675,574)
თანამშრომელთა სარგებელი		(6,297,583)	(4,932,464)
მოსაკრებლები და სხვა გადასახადები		(18,473,528)	(9,739,496)
ცვეთა და ამორტიზაცია	15	(814,105)	(250,072)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		<u>13,900,238</u>	<u>12,372,498</u>
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ხარჯი		(41,348)	(1,614,343)
საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხ. პროცენტი		(177,931)	-
კურის ცვლილებით გამოწვეული შედეგი		(168,188)	(25,325)
მოგება დაბეგვრამდე		<u>13,512,770</u>	<u>10,732,831</u>
მოგების გადასახადი		(489,670)	-
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		<u>13,023,100</u>	<u>10,732,831</u>

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

თეიმურაზ კოპალეიშვილი
დირექტორი *თეიმურაზ კოპალეიშვილი*

ლელა პაპუნაშვილი
ფინანსური დირექტორი *ლელა პაპუნაშვილი*

10 – 27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.



2019 წლის კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან

	2019	2018
მოგება დაბეგვრამდე	13,512,770	10,732,831
კორექტირებები:		
წმინდა ფინანსური ხარჯი	387,467	1,639,668
ცვთა და ამორტიზაცია	814,105	250,072
	14,714,343	12,622,570
ცვლილებები:		
მოთხოვნებში სერვისის მომწოდებლების მიმართ	100,774	(1,889,414)
მარაგებში	(5,418)	(7,598)
წინანსწარ გადახდილ გადასახადებში	252,833	(219,461)
საგადასახადო ვალდებულებებში	420,743	533,177
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	1,321,687	104,203
ფულადი ნაკადები ოპერაციებიდან მოგების გადასახადის და პროცენტის გადახდამდე	16,804,962	11,143,477
გადახდილი მოგების გადასახადი	(489,670)	-
გადახდილი პროცენტი	(2,312,920)	(814,522)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან	<u>14,002,373</u>	<u>10,328,955</u>

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან

ფინანსური საქმიანობის შედეგები (მათ შორის მიღებული პროცენტი)	290,159	(1,614,343)
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(1,305,800)	(567,790)
საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	<u>(1,015,640)</u>	<u>(2,182,133)</u>

ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან

გადახდილი სესხები და კრედიტები	(8,436,795)	(2,665,240)
გადახდილი დივიდენდები	(5,372,163)	
საიჯარო ვალდებულებაზე გადახდილი ძირითადი თანხები	(406,111)	
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	<u>(14,215,068)</u>	<u>(2,665,240)</u>

წმინდა ზრდა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს	6,410,893	954,636
უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებში მოძრაობის ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(168,188)	(25,325)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	<u>5,014,369</u>	<u>6,410,893</u>

10 – 27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია .

2019 წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)
1 იანვარი 2018	-	<u>(12,469,972)</u>
საანგარიშგებო წლის წმინდა მოგება და სხვა სრული შემოსავალი		10,732,831
საწესდებო კაპიტალის ზრდა/კლება დივიდენდები		
1 იანვარი 2019	-	<u>(1,737,141)</u>
საანგარიშგებო წლის წმინდა მოგება და სხვა სრული შემოსავალი		13,023,100
საწესდებო კაპიტალის ზრდა/კლება დივიდენდები		(5,372,163)
31 დეკემბერი 2019	-	<u>5,913,796</u>

10 – 27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია .

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბეთლაივი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2013 წლის 25 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 404983238.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს აზარტული თამაშების ონლაინ სივრცე, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს ონლაინ ტოტალიზატორისა და ონლაინ კაზინოს თამაშების პლატფორმას ინტერნეტ ვებგვერდ - www.betlive.com-ის მეშვეობით.

კომპანია 2019 წლის განმავლობაში აგრეთვე ახორციელებს საქმიანობას მიწის ობიექტებზეც, მარნეულში მდებარე სლოტ კლუბისა და ასევე თბილისსა და სარფში არსებული ტოტალიზატორების მეშვეობით.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, პეკინის გამზ., #41

2019 წლის 31 დეკემბრისა მდგომარეობით, კომპანიის წილის მფლობელები არიან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აიტი ვენჩარი“ - 40%, სულიკო ვარსემაშვილი - 38%, დავით ველიჯანაშვილი - 19% და თამაზ ხარაიძე - 3%. კომპანიის დირექტორია თეიმურაზ კოპალეიშვილი.

ასევე კომპანია 100% წილს ფლობს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „Betlive 2017 N.V.“-ის კაპიტალში, რომელიც 2018 წლის 23 მაისს დარეგისტრირდა კურასაოში სარეგისტრაციო ნომრით 146548 (0), იურიდიული მისამართი: ჰილმასტრათ # 51 ი-კომერს პარკი, კურასაო. ძირითადი საქმიანობა - იჯარა.

2. მომზადების საფუძველი

წარდგენის საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების

საზოგადოება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით. კომპანიის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება მიმდინარე/გრძელვადიან დაყოფას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საზოგადოება წარმოადგენს ფუნქციონირებად ორგანიზაციას და ახლო მომავალში არ იგეგმება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანად არის წარდგენილი ინფორმაცია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის ფინანსური შედეგების და ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ. ყველა ეკონომიკური მოვლენა შეფასების და აღიარების კრიტერიუმების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი.

ანგარიშგების მომზადების დროს ასევე გამოყენებულია ბუღალტრული ანგარიშგების მეთოდოლოგიით და ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა და დამტკიცებული ანგარიშთა გეგმა.

3. შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, საზოგადოება იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) რომლის მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით;
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით);
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბზრო მონაცემები).

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ფასს 16 „იჯარა“

ფასს 16 მოქმედების სფეროში შედის ყველა იჯარის ხელშეკრულება, გარდა გამონაკლისებისა. ხელშეკრულება მთლიანად არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. სტანდარტი მოიცავს ორ გამონაკლისს: საიჯარო აქტივის დაბალი ღირებულება (მაგ: პერსონალური კომპიუტერები) და მოკლევადიანი იჯარები (მაგ: იჯარა, რომლის ვადა ტოლია ან ნაკლებია 12 თვეზე). იჯარის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს იჯარის ვალდებულებას და აქტივს, როგორც აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის ვადის განმავლობაში. მოიჯარემ ცალკე უნდა აღიაროს საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი.

ამ სტანდარტით მეიჯარეთათვის სააღრიცხვო მიდგომა დიდწილად არ იცვლება. ისინი უწინდებურად დააკლასიფიცირებენ იჯარას საოპერაციოდ ან ფინანსურად.

ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15 „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“.

კომპანიამ განსაზღვრა ფასს 16 - ის დანერგვის ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაზე. 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ამ სტანდარტის დანერგვით კომპანია ფინანსურ ანგარიშგებაში იმ საიჯარო ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც არ მოიცავს ზემოთ აღწერილ გამონაკლისებს, აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და ამ აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ ვალდებულებას.

საანგარიშგებო პერიოდი და ცვლილებები აღრიცხვაში

ფინანსური ანგარიშგების საანგარიშო პერიოდია 2019 კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

კომპანიამ გაიარა საგადასახადო შემოწმება 2017-2018 საანგარიშო წლებზე და შესაბამისად შეიტანა ცვლილებები აღნიშნულ პერიოდში.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

ინტერპრეტაციების მუდმივმა კომიტეტმა (შემდგომში – იმკ) საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის შემადგენლობაში მიიღო იმკ-19 „ანგარიშგების ვალუტა: ფინანსური ანგარიშგების შეფასება და წარდგენა ბასს-21 და ბასს-29-ის შესაბამისად“. წინამდებარე ინტერპრეტაციით განსაზღვრულია, რომ შეფასების ვალუტა უნდა ატარებდეს სასარგებლო ინფორმაციას, რომელიც ასახავს ორგანიზაციასთან დაკავშირებული მოვლენებისა და გარემოებების ეკონომიკურ არსს. თუ გარკვეული ვალუტა არსებითად ხშირად გამოიყენება ორგანიზაციის

მიერ ან ამ ვალუტას მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს, მიზანშეწონილია, სწორედ იგი გამოიყენებოდეს, როგორც შეფასების ვალუტა.

თავის ოპერაციებში ორგანიზაცია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ორგანიზაციის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ორგანიზაცია იყენებს ქართულ ლარს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - კომპანია ხელმძღვანელობს „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების” (ECL) მოდელით. ეს საჭიროებს მსჯელობას იმის შესახებ თუ, როგორ იმოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე, რაც განისაზღვრება შეწონილი ალბათობის საფუძველზე.

ფასს 9-ის მიხედვით, ზარალის ანარცხის განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად:

ა) 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალია, რომელიც გამოწვეულია იმ დეფოლტის მოვლენებისგან ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია შემდგომი 12 თვის განმავლობაში.

ბ) არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენისგან, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელი მოქმედებს მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი ანგარიშგების პერიოდისთვის მნიშვნელოვნად გაზრდილია მის თავდაპირველ აღიარებასთან შედარებით, ხოლო თუ არ არის გაზრდილი, მოქმედებს 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელი.

კომპანიას შეუძლია განსაზღვროს, რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად, იმ შემთხვევაში თუ აქტივს აქვს დაბალი საკრედიტო რისკი ანგარიშგების წარდგენის პერიოდისთვის.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები და ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია გრძელვადიან და მოკლევადიან მუხლებად და სტრუქტურა შედგენილია ლიკვიდობის კლებადობის მიხედვით. აქტივები ძირითადად შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	მიწის ნაკვეთები	შენობა ნაგებობები	ოფისის აღჭურვილობა	ავჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	სულ
01 იანვარი 2018 წელი			358,634	315,222		307,552	981,408
კაპიტალში მიღება							
შეძენა			355,474	15,263	101,495	98,989	869,093
გასხვისება							
ჩამოწერა			(3,432)				(3,432)
ცვეთის ხარჯი			(127,736)	(71,565)	(6,905)	(43,865)	(250,072)
31 დეკემბერი 2018 წელი			582,941	258,920	94,590	362,676	1,299,126
კაპიტალში მიღება							
შეძენა			546,942	2,250	12,905	79,579	641,676
გასხვისება							0
ჩამოწერა			(14,670)			(107,528)	(122,198)
ცვეთის ხარჯი			(205,116)	(74,655)	(14,109)	(38,257)	(332,137)
31 დეკემბერი 2019 წელი			910,096	186,514	93,386	296,471	1,486,467

5. არამატერიალური აქტივები

კომპანიის ბალანსზე არსებული პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა არამატერიალური აქტივები - 13 943 ლარი

6. გამოყენების უფლების მქონე აქტივი

კომპანიის ბალანსზე არსებული გამოყენების უფლების მქონე აქტივებია უძრავი ქონების იჯარა, საოფისე ფართი, რომელთა ვადა განისაზღვრება 3-5 წელით.

აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება (5 წლიანი იჯარა)	1,309,537
აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება (3 წლიანი იჯარა)	303,048
ცვეთის ხარჯი აქტივის გამოყენების უფლებისთვის	(478,907)
საიჯარო ვალდებულების პროცენტის ხარჯი	(177,931)
მთლიანი ფულადი ნაკადის გასვლა იჯარაზე	(1,143,628)
ხარჯი დარიცხული მოკლევადიან იჯარაზე	(559,586)

7. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში წარმოდგენილია შეძენის ღირებულებით. მატერიალური მარაგების შეფასებისას, გამოყენებულია მარაგების აღრიცხვის საშუალო შეწონილი მეთოდი, რაც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინს 51,821 ლარს.

	31.12.2019	31.12.2018
სასაქონლო მატერიალური მარაგები	51,821	46,403
სულ	51,821	46,403

ფინანსური აქტივები და მოთხოვნები

ფინანსური აქტივები და მოთხოვნები უმეტესწილად წარმოქმნილია წინასწარი გადახდებით ბიუჯეტში და მიღებული მომსახურების შედეგად. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები წარმოდგენილია მოკლევადიანი ფინანსური აქტივების და მოთხოვნების სახით..

მოთხოვნებს და დებიტორულ დავალიანებებს მონაცემთა ბაზის მიხედვით გააჩნია შემდეგი სტრუქტურა: დებიტორების აღრიცხვის ჟურნალში აღირიცხება ანალიზური აღრიცხვის მიზნებისათვის დებიტორი ორგანიზაციების დასახელებები, დებიტორული დავალიანების წარმოშობის წლები.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, საგადასახადო აქტივები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	31.12.2019	31.12.2018
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	808,676	278,479
მოთხოვნები მომსახურების მომწოდებლების მიმართ	2,229,045	2,847,867
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	41,334	59,466
სულ	3,079,054	3,185,811

წინასწარ გადახდილი გადასახადები მოიცავს სანებართვო მოსაკრებლებს რომელიც, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სავალდებულოა გადახდილ იქნას ავანსად. 2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წინასწარ გადახდილი გადასახადის ნაშთი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
საგადასახადო აქტივი	696,467	949,300
სულ	696,467	949,300

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და ნაღდ ფულს სალაროში. ფულადი სახსრები ასახულია ნომინალით. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო ანგარიშზე და სალაროში ერიცხება 5,014,369 ლარი.

	31.12.2019	31.12.2018
ნაღდი ფული სალაროში	1,061,560	973,811
ნაღდი ფული საბანკო ანგარიშზე	3,952,809	5,437,082
სულ	5,014,369	6,410,893

10. კაპიტალი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საზოგადოების კაპიტალი და რეზერვები, რომელიც წარმოდგენილია გაუნაწილებელი მოგების სახით, შეადგენს 5,913,796 ლარს.

11. ვალდებულებები

ვალდებულებები, რომელთა გადახდის ვადა 1 წელზე მეტია, კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ერიცხება 1,308,231 ლარის ოდენობით საიჯარო ვალდებულება

12. საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს გაერთიანებულ ანგარიშზე. შედეგად, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის

მდგომარეობით, კომპანია წარადგენს საგადასახადო ვალდებულებას, (რომელიც ირიცხება გაერთიანებულ ანგარიშზე) ნეტო ღირებულებით. კომპანიის წმინდა საგადასახადო ნაშთი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს 1,406,808 ლარსა და 986,065 ლარს შესაბამისად.

13. შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	2019	2018
შემოსავალი ონლაინ კაზინოს თამაშებიდან	53,745,209	42,554,366
შემოსავალი ონლაინ ტოტალიზატორიდან	24,734,623	14,449,416
შემოსავალი ონლაინ peer-to-peer თამაშებიდან	404,374	409,528
შემოსავალი მიწის ტოტალიზატორიდან	477,849	389,345
შემოსავალი სლოტ კლუბიდან	1,603,727	936,368
სულ	80,965,782	58,739,023

შემოსავლების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. ონლაინ კაზინოსა და ონლაინ ტოტალიზატორის შემოსავალი წარმოდგენილია კლიენტებისთვის განკუთვნილი Freebet-ისა, პრიზებისა და ბონუსების გამოკლებით, თუ მთლიანი ეკონომიკური შემოსავლები პერიოდის განმავლობაში წარმოიშობა ორგანიზაციის ჩვეული საქმიანობის პირობებში, მათი საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, და ამ ოპერაციის შედეგად იზრდება საკუთარი კაპიტალი, მესაკუთრეთა მხრიდან დამატებითი ინვესტირების გარეშე.

ხარჯების აღიარება

ორგანიზაცია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში

დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

14. საოპერაციო ხარჯები

კომპანიის საოპერაციო ხარჯები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	2019	2018
სულ თამაშების მომწოდებლებზე გაწეული ხარჯი	(17,984,238)	(12,677,500)
საბანკო მომსახურებაზე გადახდილი საკომისიო	(9,280,062)	(6,948,528)
სარეკლამო და პრომო დანახარჯები	(10,817,106)	(8,442,226)
პროგრამული მომსახურება	(1,546,935)	(1,520,000)
იჯარა	(559,586)	(932,217)
სხვა ხარჯი	(1,816,275)	(1,155,102)
სულ	(42,004,201)	(31,675,574)

15. ცვეთა და ამორტიზაცია

კომპანიის ცვეთის ხარჯები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	2019	2018
ძირითად საშუალებებზე დარიცხული ცვეთა	(335,198)	(250,072)
გამოყენების უფლების მქონე აქტივზე დარიცხული ცვეთა	(478,907)	0
სულ	(814,105)	(250,072)

16. ფინანსური რისკების მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- სავალუტო რისკი.

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის

განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში. 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის წინაშე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ხელმძღვანელობის პოზიციით, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ლიკვიდურობის ბალანსი.

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	5,014,369			5,014,369
მოკლევადიანი მოთხოვნები და ავანსები	3,781,504			3,781,504
სულ ფინანსური აქტივები	8,795,873	0	0	8,795,873
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები და კრედიტები	24,673			24,673
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	4,843,988			4,843,988
გრძელვადიანი სესხები	-			-
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,868,662	0	0	4,868,662
ლიკვიდურობის პოზიცია	3,927,211	0	0	3,927,211

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ლიკვიდურობის ბალანსი.

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	6,410,893			6,410,893
მოკლევადიანი მოთხოვნები და ავანსები	4,135,111			4,135,111
სულ ფინანსური აქტივები	10,546,005	0	0	10,546,005
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები და კრედიტები	10,264,949			10,264,949
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3,507,669			3,507,669
გრძელვადიანი სესხები	-			-
სულ ფინანსური ვალდებულებები	13,772,618	0	0	13,772,618
ლიკვიდურობის პოზიცია	(3,226,613)	0	0	(3,226,613)

- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით.
- უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები, დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები და დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები (გადასახდელები) იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, რადგან ოპერაციები ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში

17. პირობითი ვალდებულებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის

დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

18.საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ მაკორექტირებელ ან არამაკორექტირებელ მოვლენებს მოვლენებს ადგილი არ ექონია.

19.ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფასს 9-მ ჩაანაცვლა ბასს 39 – „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“. ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. 2017 წლის 1 იანვრისთვის (ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების პირველად წარდგენის თარიღისთვის), კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. საიჯარო და სხვა მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

მიმდინარე და გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით

არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს, რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს საიჯარო და სხვა მოთხოვნებს, მოკლევადიან ინვესტიციას, გაცემულ სესხებსა და ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცილება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულს გზაში, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში. 3 დან 12 თვემდე ვადის დეპოზიტები ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგება, როგორც მოკლევადიანი ინვესტიცია.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. 2017 წლის 1 იანვრისთვის (ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების პირველად წარდგენის თარიღისთვის), კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, სავაჭრო ვალდებულებებს. სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება კომპანიას, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა, დანიშნულების ადგილამდე მიყვანისა და მათ გასაყიდად საჭირო მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან.

ძირითადი და არამატერიალური აქტივები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა გახორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

საოფისე და კომპიუტერული აღჭურვილობა - 20% წრფივი

ავტოსატრანსპორტო საშუალებები 20% წრფივი;

ავეჯი და ინვენტარი 20% წრფივი

სხვა ძირითადი საშუალებები 20% წრფივი

ბასს 16 ძირითადი საშუალებები და ბასს 38 არამატერიალური აქტივები ცვლილება გამოიყენება რეტროსპექტულად და განმარტავს ბასს 16-სა და ბასს 38-ში, რომ აქტივი შეიძლება გადაფასდეს მთლიანი ან წმინდა საბალანსო ღირებულებაზე დაკვირვების მონაცემების საფუძველზე. გარდა ამისა, დარიცხული ცვეთა ან ამორტიზაცია არის სხვაობა აქტივის მთლიან და საბალანსო

ღირებულებებს შორის. ცვლილებები ბასს 16-ში და ბასს 38-ში: ცვეთის და ამორტიზაციის მისაღები მეთოდების განმარტება ცვლილება განმარტავს პრინციპს ბასს 16-ში და ბასს 38-ში, რომ შემოსავალი ასახავს ეკონომიკური სარგებელის მოდელს, რომელიც მიიღება საწარმოს საქმიანობიდან (რომლის ნაწილი არის აქტივი) და არა ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც გამოიყენება აქტივის გამოყენების საფუძველზე. შედეგად, შემოსავალზე დაფუძნებული მეთოდი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ძირითადი საშუალებების ჩამოსაწერად და შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ მეტად შეზღუდულ გარემოებებში არამატერიალური აქტივების ჩამოსაწერად. ცვლილებები ძალაში შევა მომავალში წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2016 წლის 1 იანვარს ან შემდეგ, დაშვებულია ადრე მიღება. აღნიშნული ცვლილებები სავარაუდოდ გავლენას არ მოახდენს ჯგუფზე, იმ პირობით, რომ ჯგუფი არ გამოიყენებს შემოსავალზე დაფუძნებულ მეთოდს მისი არამიმდინარე აქტივების ჩამოწერასთან დაკავშირებით.

დაბეგვრა

გადასახადების გაანგარიშება და გადახდა განხორციელდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, და აისახა ანგარიშგებაში შესაბამისად. საგადასახადო კოდექსის მოთხოვნები გათვალისწინებულია ეკონომიკური საქმიანობის უფლების მქონე ერთეულების მიერ აქტივების და ვალდებულებების შეფასებისას.

მოგების გადასახადი

საზოგადოება მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981 მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან. საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება. საზოგადოება საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს. გარდა აღნიშნულისა კომპანია სისტემურ- ელექტრონული ტოტალიზატორის ნაწილში იბეგრება მოგების გადასახადის 7% იანი განაკვეთით მიღებული ფსონებიდან.

ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ზოგადი მიმოხილვა

კომპანია აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებას.

კომპანია ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

ონლაინ ტოტალიზატორის თამაშებით მიღებული შემოსავალი პერიოდის განმავლობაში წარმოდგენილია გაკეთებული ფსონებიდან წმინდა მოგების ან ზარალის სახით, პირდაპირ დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით. კომპანიის ონლაინ ტოტალიზატორის საქმიანობა კლასიფიცირებულია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებში. ამ წარმოებულ ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში აღიარებით და აღირიცხება შემოსავალში კომპანიის ძირითადი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალში. ტოტალიზატორის გაუთამაშებელი ფსონები აღირიცხულია სამართლიანი საბაზრო ღირებულებით, ხოლო შეფასების შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი, ისევე როგორც დასრულებული პოზიციებიდან წარმოქმნილი მოგება ან ზარალი, აღირიცხულია შემოსავალში.

ონლაინ კაზინოს შემოსავალი წარმოდგენილია წმინდა მოგებების სახით, რაც წარმოადგენს სხვაობას დადებულ თანხებსა და მომხმარებელთა მოგებების შორის.

მომხმარებელთა წამახალისებელი აქციების (მათ შორის „ფრიბეთების“) და ბონუსების ხარჯები აკლდება ონლაინ ტოტალიზატორის შემოსავალს, ონლაინ კაზინოსა და peer-to-peer თამაშების შემოსავალს და წმინდა შემოსავალია წამოდგენილი მოგების ან ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

peer-to-peer თამაშებით მიღებული შემოსავალი წარმოადგენს საკომისიო შემოსავალს. შემოსავალს არ ერიცხება დამატებითი ღირებულების გადასახადი, გარდა ნარდისა, რომლის შემოსავალი აღიარებულია დღგ-ს გარეშე.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

მომსახურების გაწევისას წარმოქმნილი ხარჯები აღიარდება მიღებული შემოსავლის პროპორციულად. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავლები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დარიცხვის მეთოდით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად. ამ მეთოდის შესაბამისად გადავადდება ყველა ის საკომისიო შემოსავალი, რომელიც დაკავშირებულია სესხის გაცემასთან, რადგანაც ჩართულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო მიზეზები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას საზოგადოებამ გააკეთა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, რომლებსაც ზეგავლენა აქვთ გარკვეული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებზე, ხარჯებსა და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე. საზოგადოება პერიოდულად ამოწმებს ასეთ შეფასებებს და დაშვებებს, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი მოიცავს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ხელთ არსებულ ყველა სათანადო ინფორმაციას. თუმცა, ეს არ გამოირიცხავს რეალური ციფრების შეფასებულ მონაცემებთან განსხვავებულობის ფაქტს.

შიდა კონტროლის სისტემის შესახებ

შიდა კონტროლის სისტემის შეფასება მოხდა უშუალოდ სამუშაოების მოცულობის განსაზღვრის მიზნით, რომელიც აუცილებელი იყო რათა გამოთქმულიყო მოსაზრება ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემების სიზუსტის შესახებ. აუდიტის პროცესში შესრულებული სამუშაო არ ნიშნავს შიდა კონტროლის სისტემის სრულ და ყოვლისმომცველ შესწავლას ყველა არსებული სიტუაციის ან შეცდომის გამოვლენის მიზნით.

ორგანიზაციის და მისი შიდა კონტროლის მდგომარეობის შესახებ პასუხისმგებლობა ეკისრება დაწესებულების ხელმძღვანელობას.

შიდა კონტროლის საიმედოობის შეფასებისას ყურადღება გამახვილებული იქნა ამ სისტემის უნარზე გააკონტროლოს:

- ბუღალტერიაში არსებული სამეურნეო ოპერაციების რეალურობა
- ასახული სამეურნეო ოპერაციების სისრულე
- აქტივებისა და ვალდებულებების ადეკვატური შეფასება და კლასიფიკაცია
- ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემების ადეკვატური შეჯამება და განზოგადოება

შიდა კონტროლის სისტემის საიმედოობის და კონტროლის გარემოს შესაფასებლად განხილული იქნა დაწესებულების სამეურნეო საქმიანობის შემდეგი მხარეები:

- ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა
- ანგარიშების განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი არეები, სადაც მაღალია ბუღალტრული ანგარიშგების შეცდომის რისკი
- იმ თანამშრომელთა უფლებამოსილებების და ვალდებულებების განაწილება, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ანგარიშგების შედგენაში
- სამეურნეო ოპერაციების ბუღალტრულ რეგისტრებში ასახვის თანმიმდევრობა და ამ რეგისტრების განზოგადების ფორმები და მეთოდები

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტორული შემოწმების შედეგებს, დაწესებულების შიდა კონტროლის სისტემა ფასდება დამაკმაყოფილებლად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღრიცხულია რაოდენობრივად და თანხობრივად საშუალო-შეწონილი მეთოდით, რაც ფასს-ებით დასაშვებია და იძლევა რეალურ სურათს მათი თვითღირებულების ფორმირების, გადაადგილებისა და ხარჯებად აღიარების შესახებ.

ნებისმიერი ჩვენი გაკეთებული დასკვნა ეყრდნობა ჩატარებულ აუდიტს, რომელიც განხორციელდა, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კანონებისა და ინსტრუქციების მოთხოვნათა დაცვით და აუდიტის საყოველთაოდ მიღებული ნორმების შესაბამისად.

აუდიტორი

ნინო კალანდაძე

28.09.2020 წელი

შიდა კონტროლის სისტემის შესახებ

შიდა კონტროლის სისტემის შეფასება მოხდა უშუალოდ სამუშაოების მოცულობის განსაზღვრის მიზნით, რომელიც აუცილებელი იყო რათა გამოთქმულიყო მოსაზრება ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემების სიზუსტის შესახებ. აუდიტის პროცესში შესრულებული სამუშაო არ ნიშნავს შიდა კონტროლის სისტემის სრულ და ყოვლისმომცველ შესწავლას ყველა არსებული სიტუაციის ან შეცდომის გამოვლენის მიზნით.

ორგანიზაციის და მისი შიდა კონტროლის მდგომარეობის შესახებ პასუხისმგებლობა ეკისრება დაწესებულების ხელმძღვანელობას.

შიდა კონტროლის საიმედოობის შეფასებისას ყურადღება გამახვილებული იქნა ამ სისტემის უნარზე გააკონტროლოს:

- ბუღალტერიაში არსებული სამეურნეო ოპერაციების რეალურობა
- ასახული სამეურნეო ოპერაციების სისრულე
- აქტივებისა და ვალდებულებების ადეკვატური შეფასება და კლასიფიკაცია
- ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემების ადეკვატური შეჯამება და განზოგადოება

შიდა კონტროლის სისტემის საიმედოობის და კონტროლის გარემოს შესაფასებლად განხილული იქნა დაწესებულების სამეურნეო საქმიანობის შემდეგი მხარეები:

- ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა
- ანგარიშების განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი არეები, სადაც მაღალია ბუღალტრული ანგარიშგების შეცდომის რისკი
- იმ თანამშრომელთა უფლებამოსილებების და ვალდებულებების განაწილება, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ანგარიშგების შედგენაში
- სამეურნეო ოპერაციების ბუღალტრულ რეგისტრებში ასახვის თანმიმდევრობა და ამ რეგისტრების განზოგადების ფორმები და მეთოდები

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტორული შემოწმების შედეგებს, დაწესებულების შიდა კონტროლის სისტემა ფასდება დამაკმაყოფილებლად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღრიცხულია რაოდენობრივად და თანხობრივად საშუალო-შეწონილი მეთოდით, რაც ფასს-ებით დასაშვებია და იძლევა რეალურ სურათს მათი თვითღირებულების ფორმირების, გადაადგილებისა და ხარჯებად აღიარების შესახებ.

ნებისმიერი ჩვენი გაკეთებული დასკვნა ეყრდნობა ჩატარებულ აუდიტს, რომელიც განხორციელდა, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კანონებისა და ინსტრუქციების მოთხოვნათა დაცვით და აუდიტის საყოველთაოდ მიღებული ნორმების შესაბამისად.

აუდიტორი

ნინო კალანდაძე

28.09.2020 წელი



შპს „ბეთლაივი“

მმართველობის ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის წერილი
31 დეკემბერი 2019

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს „ბეთლაივის“ (შემდგომში - „კომპანია“) მმართველობის ანგარიშგებასთან მიმართებაში კომპანიის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

მმართველობის ანგარიშგება, მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 28 სექტემბერს.

თეიმურაზ კოპალეიშვილი
დირექტორი

ლელა პაპუნაშვილი
ფინანსური დირექტორი

შპს „ბეთლაივი“

მმართველობის ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის წერილი
31 დეკემბერი 2019


ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და
დამტკიცებაზე 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე
წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული
პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს „ბეთლაივის“ (შემდგომში - „კომპანია“) მმართველობის
ანგარიშგებასთან მიმართებაში კომპანიის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი
აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც
მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს
კანონის საფუძველზე.

მმართველობის ანგარიშგება, მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.
ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 28 სექტემბერს.

თეიმურაზ კოპალეიშვილი
დირექტორი



ლელა პაპუნაშვილი
ფინანსური დირექტორი

დამოუკიდებელ აუდიტორთა წერილი

ბატონებო,

გაცნობებთ, რომ ჩვენ წავიკითხეთ თანდართული დოკუმენტი და მივიჩნიეთ რომ:

1. კომპანიამ მოამზადა მმართველობის ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.
2. ჩვენ მიერ ჩატარებული პროცედურების შედეგად, არ შეგვიძინებია რაიმე არსებითი შეუსაბამოები რაც მიგვანიშნებდა, რომ მმართველობის ანგარიშგება არ არის მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით.

ზემოთ აღნიშნული 1-ლი და მე-2 პუნქტის წაკითხვა უნდა მოხდეს ქვემოთ მოცემულ აზრაცებთან, რომელიც მიჯნავს ხელმძღვანელობისა და აუდიტორის პასუხისმგებლობებს, ერთად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე, საჯარო დაინტერესების პირები, ასევე პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ თავიანთ აუდიტორს და აუდიტორი შეამოწმებს ანგარიშგება მოიცავს თუ არა აღნიშნული კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტითა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ინფორმაციებს.

ზემოთ აღნიშნული ნორმატიული ნორმების შესაბამისად ხელმძღვანელობა ამზადებს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- კომპანიის განვითარების გეგმებს;
- კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების მიმოხილვას;
- ინფორმაციას კომპანიის ფილიალების შესახებ;
- საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები;
- კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვას და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ;
- ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით. ჩვენი, როგორც აუდიტორების, პასუხისმგებლობა განსაზღვრულია მხოლოდ იმით, რომ გავცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და შევაფასოთ:

- რამდენად არსებითად თანმიმდევრულია სხვა ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებასთან და;

- რამდენად შეიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რაც დადგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით.

2020 წლის 28 სექტემბერს გამოვუშვით დასკვნა კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ და ამ წერილის წაკითხვა უნდა მოხდეს აღნიშნულ დასკვნასთან ერთად.

აუდიტორი
ნინო კალანდაძე
28.09.2020 წელი

- რამდენად არსებითად თანმიმდევრულია სხვა ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებასთან და;
- რამდენად შეიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რაც დადგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით.

2020 წლის 28 სექტემბერს გამოვუშვით დასკვნა კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ და ამ წერილის წაკითხვა უნდა მოხდეს აღნიშნულ დასკვნასთან ერთად.

აუდიტორი
ნინო კალანდაძე
28.09.2020 წელი



ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბეთლაივი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2013 წლის 25 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 404983238.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს აზარტული თამაშების ონლაინ სივრცე, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს ონლაინ ტოტალიზატორისა და ონლაინ კაზინოს თამაშების პლატფორმას ინტერნეტ ვებგვერდ - www.betlive.com-ის მეშვეობით.

კომპანია 2019 წლის განმავლობაში აგრეთვე ახორციელებს საქმიანობას მიწის ობიექტებზეც, მარნეულში მდებარე სლოტ კლუბისა და ასევე თბილისსა და სარფში არსებული ტოტალიზატორების მეშვეობით.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, პეკინის გამზ., #41

2019 წლის 31 დეკემბრისა მდგომარეობით, კომპანიის წილის მფლობელები არიან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აიტი ვენჩარი“ - 40%, სულიკო ვარსემაშვილი - 38%, დავით ველიჯანაშვილი - 19% და თამაზ ხარაიძე - 3%. კომპანიის დირექტორია თეიმურაზ კოპალეიშვილი.

საქმიანობა და სტრატეგია

სათმაშო ბიზნესი ქვეყნის ბიზნეს სექტორის და ზოგადად ეკონომიკის სპეციფიკური სეგმენტია, რომლის მიმართაც არსებობს სხადასხვაგვარი დამოკიდებულება. კერძოდ სათმაშო ბიზნესი ქმნის ეკონომიკაში განსაზღვრულ დამატებულ ღირებულებას და ამავე დროს მიიჩნევა, რომ მისი ფუნქციონირება ყოველთვის დაკავშირებულია გარკვეულ სოციალურ დანაკარგებთან.

სტრატეგიული მენეჯმენტი მოწოდებულია, გაზარდოს ცვლილებებისადმი ორგანიზაციის ადაპტაციის უნარი. ცვლილებები, ერთი მხრივ, წარმოშობს საფრთხეებს, მაგრამ, ამავე დროს, ისინი ბიზნესისთვის ახალი შესაძლებლობების წყაროა. მაგალითად, ინტერნეტის გამოყენებამ საფუძველი დაუდო ელექტრონული კომერციის უსწრაფეს განვითარებას. ამასთან, მუდმივად გათვალისწინებულია ისიც, რომ სწრაფად ცვალებადი კონკურენტული გარემოცვის პირობებში ინოვაცია დიდხანს არ ინარჩუნებს სიახლეს. სტრატეგია, რომელსაც იყენებს კომპანია, სწრაფად იქცევა ტიპურად, ანუ აღარ წარმოადგენს კონკურენტული უპირატესობის წყაროს, ამიტომ, დიდი ყურადღება ეთმობა ცვლილებებს. სტრატეგიული მენეჯმენტის სახით კომპანია იყენებს სამ უმთავრეს პრინციპს, რომელიც შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

1. **ბაზარზე სტრატეგიული ქმედებების მართვა:** იმ სტრატეგიის შემუშავება, დაზუსტება და რეალიზება, რომელიც იძლევა ბაზარზე წარმატების მიღწევის შესაძლებლობას. სტრატეგია არის საშუალება, რომლის მეშვეობითაც იცვლება ურთიერთობები პარტნიორებთან და კონკურენტებთან. სწორედ მისი რეალიზების მეშვეობით აღწევს ორგანიზაცია კონკურენტულ უპირატესობას.
2. **ორგანიზაციის მართვა:** ორგანიზაციის შიდა ცვლილებები განსაზღვრავს ბაზარზე მისი მოღვაწეობის მიმართულებებს. ამგვარი ცვლილებების გარეშე ორგანიზაცია ვერ შეძლებს, შეცვალოს საკუთარი მახასიათებლები: ტექნიკური აღჭურვა, ორგანიზაციული

სტრუქტურა და მასში დასაქმებული ხელმძღვანელებისა და სხვა თანამშრომლების პროფესიული ოსტატობა. ორგანიზაციული ცვლილებები გარე გარემოს ცვალებადობაზე რეაგირების, მათთან ადაპტირების და საკუთარი მიზნებისთვის მათი გამოყენების საშუალებას აძლევს კომპანიას.

3. **სტრატეგიული მენეჯმენტის რეალიზება:** ნიშნავს ურთიერთქმედებას სტრატეგიასა (ის, რასაც ორგანიზაცია აკეთებს ბაზარზე) და ორგანიზაციულ პროცესებს შორის (ის, რაც საკუთრივ ორგანიზაციაში ხდება).

კომპანიის მიერ კონკურენტულ გარემოში მიმდინარე და მოსალოდნელ ცვლილებათა ცოდნის სიღრმე დიდწილად განსაზღვრავს ბაზარზე მის ქცევას, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია აღნიშნული ცვლილებების წინასწარ განჭვრეტის უნარი, აგრეთვე, მათი გამოწვევა და საკუთარი მიზნებისათვის გამოყენება. კომპანია ატარებს შემდეგ ცვლილებებს თავისი საქმიანობის გასაუმჯობესებლად - მასშტაბის, კომპანიის გარეგნობის, კომპანიის მიზნების - მიმართულება. ნებისმიერი კომპანიისათვის ბიზნესის მოცულობასთან დაკავშირებული საკითხები ცენტრალურია. მასშტაბების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მან რეალურად უნდა შეაფასოს მის ხელთ არსებული რესურსები და ამის შესაბამისად შეარჩიოს ხელმისაწვდომი ვარიანტები. არც ერთ კომპანიას არ შეუძლია, ბაზარს შესთავაზოს პროდუქციის ან მომსახურების უსასრულო არჩევანი. თვით პარტნიორების დახმარებითაც კი, მას არ ძალუძს, მოიცვას ყველა პოტენციური მომხმარებელი. რეალურად, მხოლოდ მცირე მათგანს შეუძლია იმოქმედოს საკუთარი დარგის ყველა სეგმენტზე, ამიტომ მასშტაბის განსაზღვრისას ორგანიზაცია ირჩევს იმ “სათამაშო მოედანს”, რომელიც ყველაზე უკეთ პასუხობს მის ინტერესებს და შესაძლებლობებს. სწორედ აქ გააჩნია მას ყველაზე წონადი კონკურენტული უპირატესობა.

განვითარების უწყვეტი პროცესი

კომპანია იმყოფება ბიზნესის განვითარების გზების ძიებაში. საქმიანობის პირველ წლებში ბიზნესის ზრდა ხდებოდა ძირითადად თავისუფალი ვაჭრობის ობიექტების დამატებისა და ქსელის განვითარების ხარჯზე.

სოციალური პასუხისმგებლობა

კომპანია ახორციელებს საქმიანობას კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პრონციპებზე დაყრდნობით. მონაწილეობს სხვადასხვა საქველმოქმედო აქციებში.

გამჭვირვალობა

კომპანია ახორციელებს თავის საქმიანობას გამჭვირვალედ, ბიზნეს ეთიკისა და პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხით.

დასაქმება და თანამშრომლები

დასაქმებულთა რაოდენობით კომპანია ითვლება საშუალო ზომის კომპანიად. კომპანიის ზრდის პროპორციულად ხდება დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებულთა რაოდენობამ შეადგინა 256 ადამიანი, კომპანია თანაბარ პოზიციაში განიხილავს სხვა და სხვა ასაკის, გენდერის და ეროვნების ადამიანთა დასაქმებას.

კომპანია თანაბრად აძლევს დასაქმებულებს განვითარებისა და წინსვლის შესაძლებლობას. ახალი ვაკანსიის არსებობისას პირველ რიგში ხდება შიდა კადრების შესაძლებლობების განხილვა და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება ოფიციალური წყაროების საშუალებით ღიად ახდენს კადრების შერჩევას.

პროფესიული ცოდნის გაღრმავების მიზნით კომპანია რეგულარულად ადხენს კადრების გადამზადებას როგორც შიდა ასევე მოწვეული ტრენერების მეშვეობით.

განვითარება და ინოვაციები

კომპანიის სტრატეგიული მიზანია მომხმარებლისთვის მაღალი ხარისხის პროდუქციისა და მომსახურების შეთავაზება და ამ გზით შემოსავლებისა და მოგების ზრდა.

ამასთანავე კომპანია მუდმივად ახალი პროექტების განვითარებისა და ბიზნესის ზრდის შესაძლებლობების ძიებაშია.

საზოგადოება მჭირდოდ თანამშრომლობს ადგილობრივ მწარმოებლებთან და ახდენს ადგილობრივი პროდუქციის რეალიზებას.

Betlive სათამაშო კლუბების ქსელში გამოყენებული კომპიუტერული სისტემა, საინფორმაციო უსაფრთხოებისა და მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

Betlive სათამაშო კლუბებში,“ იყენებენ სხვადასხვა კომპიუტერულ სისტემებს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. როგორცაა: ფსონების კონტროლის სისტემა, პნევმატური რულეტკები, ჯეკპოტები, ჯეკპოტები რულეტკებისთვის, ანალიტიკური სისტემა Cashless, დამატებითი ბონუს სისტემა და მოთამაშეების რეიტინგი.

კომუნიკაციის განსახორციელებლად გამოიყენება სადენიანი და უსადენო საკომუნიკაციო არხები. ყველა სისტემა შემუშავებულია და აქვს მხარდაჭერა ფირმა ‘ოდრექს სოფტვეარ’-ის მიერ. ყველა კომუნიკაციის პროტოკოლი ასევე შემუშავებულია ფირმა ‘ოდრექს სოფტვეარ’-ის მიერ, ისინი კარგად არიან დაცული სხვადასხვა დონეზე დამიფვრვის გამოყენებით. ამრიგად, მონაცემთა გადაცემის გასაიდუმლოება იზრდება უნიკალური პროტოკოლების გამოყენების გზით.

ყველა სათამაშო სისტემა პროექტირებულია მსოფლიოს სათამაშო სტანდარტებისა და უსაფრთხოების სტანდარტების მოთხოვნების დაკმაყოფილების გათვალისწინებით. მაგალითად, GLI-11, GLI-13 და GLI-16.

ქსელში გამოიყენება როგორც ინდივიდუალური კომპიუტერები, რომლებიც მუშაობენ ადგილობრივად, ასევე ვირტუალური მანქანები რომლებიც მდებარეობენ მონაცემთა ბაზაზე. მნიშვნელოვანი ადგილობრივი კომპიუტერებისთვის, გამოიყენება შეზღუდული წვდომით მოქმედი ოპერაციული სისტემა და ცვლილებებისგან დახურულია.

ყველა საკომუნიკაციო პროტოკოლი დაშიფრულია, მონაცემთა ბაზებზე წვდომა ასევე დაშიფრულია კრიპტოთი.

სისტემების შენარჩუნებისთვის გამოიყენება Raid დისკები. პროგრამული უზრუნველყოფა გარანტირებულად დაცულია ცვლილებებისა და გადაწერისგან დამატებითი კონტროლერების გამოყენებით.

ვირტუალური მანქანებისთვის გამოიყენება საიმედო სერვერები რომლებიც მდებარეობს მონაცემთა ბაზაზე.

მონაცემთა გაცვლის ცენტრი. ე.წ დატაცენტრი აღჭურვილია ელექტონერგიის მოწოდების უწყვეტი წყაროთი, როგორიცაა: ორი დამოუკიდებელი UPS და ავტომატური ჩართვის მექანიზმის მქონე დიზელგენერატორით. არსებული სისტემის მუშა მდგომარეობის შემოწმება ხორციელდება კვირაში ერთხელ წინასწარ განსაზღვრული პროცედურის მიხედვით.

დატა ცენტრის თანამშრომლები უზრუნველყოფენ რესურსების მონიტორინგს 24/7-განმავლობაში.

ყველა სერვერი დაცულია Firewall-ით, ამგვარად წვდომა შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტული კომპიუტერებიდან.

დისტანციური წვდომისთვის სხვადასხვა წერტილიდან და სხვადასხვა მომხმარებლისთვის (მაგალითად, Cashless analytics) მოიხმარება ორ ფაზიანი ავტორიზაცია.

მონაცემთა ბაზები: ყველა კრიტიკული მონაცემთა ბაზას აქვს კონფიგურირებული რეპლიკაციის სისტემა.

ყველა სერვერზე ყოველკვირეულად განხორციელდება backup, მონაცემთა ბაზის თანამშრომლების მიერ.

ფინანსური რისკების მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- სავალუტო რისკი.

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში. 2018 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის წინაშე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ხელმძღვანელობის პოზიციით, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ლიკვიდურობის ბალანსი.

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	5,014,369			5,014,369
მოკლევადიანი მოთხოვნები და ავანსები	3,781,504			3,781,504
სულ ფინანსური აქტივები	8,795,873	0	0	8,795,873
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები და კრედიტები	24,673			24,673
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	4,843,988			4,843,988
გრძელვადიანი სესხები	-			-
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,868,662	0	0	4,868,662
ლიკვიდურობის პოზიცია	3,927,211	0	0	3,927,211

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ლიკვიდურობის ბალანსი.

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	6,410,893			6,410,893
მოკლევადიანი მოთხოვნები და ავანსები	4,135,111			4,135,111
სულ ფინანსური აქტივები	10,546,005	0	0	10,546,005
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები და კრედიტები	10,264,949			10,264,949
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3,507,669			3,507,669
გრძელვადიანი სესხები	-			-
სულ ფინანსური ვალდებულებები	13,772,618	0	0	13,772,618
ლიკვიდურობის პოზიცია	(3,226,613)	0	0	(3,226,613)

- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით.
- უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები, დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები და დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები (გადასახდელები) იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, რადგან ოპერაციები ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.